

კაპიტალ ექსპრეს ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა

2019 წლის 31 დეკემბერს

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 3

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება 6
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება 7
კონსოლიდირებული ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ 8
ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება 9

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია 10
2. მომზადების საფუძვლები 11
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები 13
4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა 15
5. წინა პერიოდების შეცდომების გასწორება 19
6. წმინდა საპროცენტო შემოსავალი 20
7. საკომისიო და სხვა შემოსავალი 20
8. სხვა ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯები 20
9. მოგების გადასახადის ხარჯი 21
10. ფული და ფულის ეკვივალენტები 21
11. კლიენტებზე გაცემული სესხები 22
12. აქტივების გამოყენების უფლება 27
13. ძირითადი საშუალებები 28
14. არამატერიალური აქტივები 28
15. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში 29
16. სხვა აქტივები 29
17. მიღებული სესხები 30
18. საწესდებო კაპიტალი 30
19. პირობითი ვალდებულებები 31
20. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 31
21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები 32
22. ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში 33
23. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა 35

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

კაპიტალ ექსპრეს ჯგუფის მფლობელებსა და ხელმძღვანელობას მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ კაპიტალ ექსპრეს ჯგუფის (შემდგომში - ჯგუფი) თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ასევე, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ ჯგუფისგან დამოუკიდებლები, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვანი გარემოება - „კოვიდ 19“-ის გავრცელება

მოსაზრების მოდიფიცირების გარეშე, ყურადღებას ვამახვილებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების 21-ე მნიშვნაზე, სადაც აღწერილია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და „კოვიდ 19“-ის გავრცელების პოტენციური გავლენა ჯგუფზე.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ზედამხედველობა გაუწიონ ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს.



აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულვებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვეველობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს ჯგუფის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვეველობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს ჯგუფი შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.
- მოვიპოვებთ საკმარის აუდიტორულ მტკიცებულებას ჯგუფის ფინანსურ ინფორმაციასა და საქმიანობაზე, რათა გამოვხატოთ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.



სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტზე, რომლის შედეგებიც ასახულია დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში, არის:

ივანე ჟუჟუნაშვილი (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-720718)

გარიგების პარტნიორი
თბილისი, საქართველო
3 ივლისი, 2020

კაპიტალ ექსპრეს ჯგუფი

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2019	2018 გადაანგარიშებული (მე-5 შენიშვნა)
საპროცენტო შემოსავალი	6	1,158,190	1,573,850
საპროცენტო ხარჯი	6	(218,953)	(273,948)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		939,237	1,299,902
გაუფასურებამდე			
ცვლილება კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურების ანარიცხში	11	90,711	(416,567)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		1,029,948	883,335
საკომისიო და სხვა შემოსავალი	7	261,249	343,513
სხვა ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯები	8	(725,586)	(819,733)
წმინდა ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან		(19,012)	(106,460)
ზარალის წილი წილობრივი მეთოდით აღრიცხულ მეკავშირე საწარმოში	15	(25,328)	(38,400)
მოგება დაბეგვრამდე		521,271	262,255
მოგების გადასახადის ხარჯი	9	(83,188)	(61,472)
მთლიანი სრული შემოსავალი		438,083	200,783

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 3 ივლისს და შემდეგი პირების მიერ:


დირექტორი _____ თენგიზ მაჭავარიანი


მთავარი ბუღალტერი _____ ალექსანდრე ხასია

კაპიტალ ექსპრეს ჯგუფი
 სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2019	2018 გადაანგარიშებული (მე-5 შენიშვნა)
საპროცენტო შემოსავალი	6	1,158,190	1,573,850
საპროცენტო ხარჯი	6	(218,953)	(273,948)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		939,237	1,299,902
გაუფასურებამდე			
ცვლილება კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურების ანარიცხში	11	90,711	(416,567)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		1,029,948	883,335
საკომისიო და სხვა შემოსავალი	7	261,249	343,513
სხვა ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯები	8	(725,586)	(819,733)
წმინდა ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან		(19,012)	(106,460)
ზარალის წილი წილობრივი მეთოდით აღრიცხულ მეკავშირე საწარმოში	15	(25,328)	(38,400)
მოგება დაბეგვრამდე		521,271	262,255
მოგების გადასახადის ხარჯი	9	(83,188)	(61,472)
მთლიანი სრული შემოსავალი		438,083	200,783

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 3 ივლისს და შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი  თენგიზ მაჭავარიანი

მთავარი ბუღალტერი  ალექსანდრე ხასია

10-46 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კაპიტალ ექსპრეს ჯგუფი

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018 გადაანგარიშებული (მე-5 შენიშვნა)	1 იანვარი 2018 გადაანგარიშებული (მე-5 შენიშვნა)
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	322,257	935,335	804,062
გაცემული სესხები	11	3,204,575	4,401,632	4,274,795
აქტივების გამოყენების უფლება	12	67,560	-	-
ძირითადი საშუალებები	13	33,812	61,574	53,515
არამატერიალური აქტივები	14	43,520	50,026	22,157
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	15	73,326	98,654	137,054
სხვა აქტივები	16	131,538	218,953	196,575
საგადასახადო აქტივი		72,000	-	43,479
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი	9	31,289	92,244	59,605
სულ აქტივები		3,979,877	5,858,418	5,591,242
ვალდებულებები				
მიღებული სესხები	17	1,363,205	2,543,163	2,428,655
საიჯარო ვალდებულებები	12	75,505	-	-
საგადასახადო ვალდებულება		-	16,080	-
სხვა ვალდებულებები		14,877	48,158	8,937
სულ ვალდებულებები		1,453,587	2,607,401	2,437,592
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	18	1,522,940	1,522,940	1,242,940
გაუნაწილებელი მოგება		1,003,350	1,728,077	1,910,710
სულ კაპიტალი		2,526,290	3,251,017	3,153,650
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		3,979,877	5,858,418	5,591,242

10-46 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კაპიტალ ექსპრეს ჯგუფი

კონსოლიდირებული ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისთვის

(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2018 წლის 1 იანვრისთვის გადაანგარიშებული (მე-5 შენიშვნა)	1,242,940	1,910,710	3,153,650
საწესდებო კაპიტალის ზრდა	280,000	-	280,000
დივიდენდები	-	(383,416)	(383,416)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	200,783	200,783
2018 წლის 31 დეკემბრისთვის გადაანგარიშებული (მე-5 შენიშვნა)	1,522,940	1,728,077	3,251,017
დივიდენდები	-	(1,162,810)	(1,162,810)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	438,083	438,083
2019 წლის 31 დეკემბრისთვის	1,522,940	1,003,350	2,526,290

10-46 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კაპიტალ ექსპრეს ჯგუფი

ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისათვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2019	2018 გადაანგარიშებული (მე-5 შენიშვნა)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან მოგება დაბეგრამდე		521,271	262,255
კორექტირებები:			
სესხების გაუფასურების ხარჯის ცვლილება	11	(90,711)	416,567
ცვეთა და ამორტიზაცია	8	162,612	30,852
ცვლილება საპროცენტო შემოსავალში		3,226	208,920
ცვლილება საპროცენტო ხარჯში		(42,071)	(15,228)
დასაკუთრებული ქონების რეალიზაციიდან მიღებული მოგება		(39,011)	-
წმინდა ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან		19,012	106,460
ცვლილება მეკავშირე საწარმოებში არსებულ ინვესტიციებში		25,328	38,400
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე		559,656	1,048,226
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში:			
კლიენტებზე გაცემული სესხები		1,340,550	(739,985)
სხვა აქტივები		126,426	(22,388)
სხვა ვალდებულებები		(33,344)	39,191
ფულადი ნაკადების შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან		1,993,288	325,044
გადახდილი მოგების გადასახადი		(110,111)	(34,350)
ფულადი ნაკადების წმინდა შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან		1,883,177	290,694
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა		(325)	(30,225)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა		(3,500)	(36,555)
ფულადი ნაკადების წმინდა გადინება საინვესტიციო საქმიანობიდან		(3,825)	(66,780)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან:			
სესხების მიღება		2,166,762	3,027,177
სესხების გადახდა		(3,379,536)	(2,994,718)
საიჯარო ვალდებულებები		(121,384)	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა		-	280,000
დივიდენდების გადახდა		(1,162,810)	(383,416)
ფულადი ნაკადების წმინდა გადინება ფინანსური საქმიანობიდან		(2,496,968)	(70,957)
წმინდა ზრდა/(კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში		(617,616)	152,957
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში		935,335	804,062
ფულადი სახსრების გადაფასების ეფექტი		4,538	(21,684)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს		322,257	935,335

10-46 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კაპიტალ ექსპრეს ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ქართულ ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

ა) ჯგუფი

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად შპს მისო კაპიტალ ექსპრესისა (დედა კომპანია) და მისი შვილობილი კომპანიის შპს კაპიტალ ინვესტივსთვის (შემდგომში ერთობლივად „ჯგუფი“ ან „კაპიტალ ექსპრეს ჯგუფი“) 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის.

დედა კომპანია დაარსდა 2012 წლის 20 დეკემბერს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. ის რეგისტრირებულია საგადასახადო დეპარტამენტის თბილისის ოფისში, საიდენტიფიკაციო კოდით - 404434028.

დედა კომპანია თავის საქმიანობას წარმართავს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე და მას ზედამხედველობას უწევს საქართველოს ეროვნული ბანკი („სებ“).

დედა კომპანიას ჰყავს ერთი შვილობილი, შპს კაპიტალ ინვესტი, რომელიც ეწევა საინვესტიციო საქმიანობას და ფლობს წილს ორ კომპანიაში. დედა კომპანია ფლობს კაპიტალ ინვესტივს წილის 100%-ს. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ 21-ე განმარტებით შენიშვნაში.

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კაპიტალ ინვესტს ინვესტიციები ჰქონდა შემდეგ კომპანიებში:

კომპანია	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018	საოპერაციო საქმიანობა
შპს ახალი ფინანსური ჯგუფი	12.5%	12.5%	12.5%	ონლაინ სესხების გაცემა
შპს რაპიდო	16,5%	16.5%	16.5%	ტექსტილისა და ბეწვეულის პროდუქციის რეცხვა და ქიმწმენდა

ჯგუფი ორიენტირებულია მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსებაზე და ძირითადი საქმიანობის ფარგლებში დედა კომპანია მომხმარებელს სთავაზობს: იპოთეკურ, სამომხმარებლო და ბიზნეს სესხებს.

ჯგუფს მართავს პარტნიორთა საერთო კრება, სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორი. ჯგუფის უმაღლესი მმართველობითი ორგანოა პარტნიორთა საერთო კრება. სამეთვალყურეო საბჭო განსაზღვრავს ბიზნეს პოლიტიკას და ნიშნავს დირექტორს, რომელიც პასუხისმგებელია ჯგუფის ყოველდღიურ საქმიანობაზე.

ჯგუფის მფლობელებისა და წილობრივი გადანაწილების შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია მე-18 შენიშვნაში. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს არ ჰყოლია საბოლოო მკონტროლებელი მხარე.

დედა კომპანიის მისამართია დიდუბის რაიონი, თამარ მეფის გამზირი #7, თბილისი, საქართველო.

ბ) ცვლილებები საქართველოს კანონმდებლობაში

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანების - #281/04 მიხედვით, 2019 წლის 1 იანვრიდან ახალი რეგულაციები შევიდა ძალაში. აღნიშნული რეგულაციების მიხედვით მისოს არ აქვს უფლება გასცეს სესხები ფიზიკური პირების გადახდისუნარიანობის ანალიზის გარეშე. ახალი რეგულაციის მიზანია უზრუნველყოს საქართველოს ფინანსური სისტემის სტაბილური და მდგრადი ოპერირება და წახალისოს ჯანსაღი გარემო სესხის გაცემისთვის.

კაპიტალ ექსპრეს ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ქართულ ლარში)

2. მომზადების საფუძვლები

ანგარიშგების შესაბამისობა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს-ები) შესაბამისად.

ჯგუფი თავის ბუღალტრულ ჩანაწერებს აწარმოებს და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ქართულ ლარში, როგორც ეს საქართველოს კანონმდებლობით მოითხოვება. ჯგუფის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი.

ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

თანხობრივი მაჩვენებლები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია დამრგვალებების გარეშე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გაკეთებას. ის, ასევე, ჯგუფის ხელმძღვანელობისგან მოითხოვს, რომ მსჯელობის საფუძველზე ჩამოაყალიბოს და მიიღოს ყველაზე გონივრული სააღრიცხვო შეფასებები. ის მნიშვნელოვანი სფეროები, რომლებიც შეფასდა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

საქმიანობის უწყვეტობა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ჯგუფის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ ჯგუფი განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ჯგუფის ხელმძღვანელობასა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განაგრძონ ჯგუფი საქართველოში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია ჯგუფისთვის.

შეფასების საფუძველი

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულებების საფუძველზე.

კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს დედა კომპანიის და მის კონტროლს დაქვემდებარებული შვილობილი კომპანიების ფინანსურ ინფორმაციას. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც დედა კომპანიას:

- აქვს გავლენა ინვესტიციის ობიექტზე;
- იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება; და
- შეუძლია თავისი გავლენის გამოყენება უკუგებაზე ზემოქმედებისთვის.

დედა კომპანია ხელახლა აფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტიციის ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის ზემოაღნიშნული სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებებია მომხდარი.

შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც დედა კომპანია მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც დედა კომპანია კარგავს კონტროლს შვილობილ საწარმოზე. კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული შვილობილი კომპანიის შემოსავალი და ხარჯები აღირიცხება სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ თარიღიდან, როდესაც დედა კომპანია იძენს კონტროლს, იმ თარიღამდე, როდესაც დედა კომპანიის კონტროლი შვილობილ კომპანიაზე წყდება.

კაპიტალ ექსპრეს ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ქართულ ლარში)

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

საჭიროების შემთხვევაში, ხდება შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგების დაკორექტირება, რათა მათი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან.

ჯგუფის წევრებს შორის შემდგარ გარიგებებთან დაკავშირებული ყველა შიდაჯგუფური ვალდებულება, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადი კონსოლიდაციისას მთლიანად გაიქვითება.

კონსოლიდაციის მიზნებისთვის ელიმინირებული ტრანზაქციები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ელიმინირებულია შიდა ჯგუფური ტრანზაქციები და ამ ტრანზაქციების შედეგად წარმოქმნილი არარეალიზებული მოგება ან ზარალი.

ახალი ფასს-ების მიღება, ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

ა) 2019 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში შესული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები

ახალი სტანდარტები, რომლებმაც გამოიწვია ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება და რომლის საფუძველზეც მომზადებულია 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქვემოთ:

- ფასს 16 - იჯარა
- ფასიკ 23

ფასს 16 - ის ცვლილებები, რომლებიც აღნიშნულმა სტანდარტმა იქონია მოცემულია 22-ე შენიშვნაში. სხვა ახალმა და შეცვლილმა სტანდარტებმა, რომლებიც ბასსკ-მა გამოუშვა და გამოყენებულ იქნება შემდგომი წლის ანგარიშგებაში, არაა მოსალოდნელი, რომ გავლენა იქონიონ ჯგუფზე რამდენადაც ისინი ან არ არის რელევანტური ჯგუფის საქმიანობისთვის ან ისეთ აღრიცხვას საჭიროებენ, რომელიც თანხვედრაშია ჯგუფის მიმდინარე სააღრიცხვო პოლიტიკასთან.

ფასიკ 23-ში „მოგების გადასახადის გამოთვლის მიდგომებთან დაკავშირებული გაურკვევლობა“ ინტერპრეტაციაში განმარტებულია, როგორ გამოიყენება ბასს 12-ის აღიარებისა და შეფასების მოთხოვნები იმ შემთხვევაში, როდესაც გაურკვეველია მოგების გადასახადის გამოთვლასთან დაკავშირებული მიდგომები. ასეთ შემთხვევაში, ჯგუფმა მიმდინარე ან გადავადებული საგადასახადო აქტივი ან ვალდებულება უნდა აღიაროს და შეაფასოს ბასს 12-ის მოთხოვნების გამოყენებით, მაგრამ მოცემული ინტერპრეტაციის შესაბამისად განსაზღვრული საგადასახადო მოგების (ან ზარალის), საგადასახადო ზახის, გამოუყენებელი საგადასახადო ზარალის, გამოუყენებელი საგადასახადო კრედიტებისა და საგადასახადო განაკვეთების საფუძველზე.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

შემდეგ ახალ სტანდარტებს, ინტერპრეტაციებს და ცვლილებებს, რომლებიც ჯერ არ არის შესული ძალაში, არ გამოყენებულა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას. ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც 2020 წლის 1 იანვრიდან არის ეფექტური და რომელთაც შესაძლოა გავლენა ჰქონდეს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არის შემდეგი:

- ბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და ბასს 8 - სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები (შესწორება - არსებითის განმარტება)
- ფასს 3 - საწარმოთა გაერთიანება (შესწორება - ბიზნესის განმარტება)
- ფინანსური ანგარიშგების განახლებული კონცეპტუალური საფუძვლები

ამჟამად, ჯგუფი აფასებს ცვლილებების მოსალოდნელ გავლენას მის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

სხვა

ჯგუფი არ ვარაუდობს, რომ ბასსკ-ის მიერ გამოშვებულ სხვა სტანდარტებს, რომლებიც ჯერ ძალაში არ არის შესული, ექნება არსებითი გავლენა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

კაპიტალ ექსპრეს ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ქართულ ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მსგავსი შეფასებები და დაშვებები მუდმივად მუშავდება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, მათ შორის, ისეთი მომავალი მოვლენების გათვალისწინებით, რომელიც მოსალოდნელია გონივრულ ფარგლებში. მომავალში მიღებული ფაქტობრივი შედეგი შესაძლოა განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების ანარიცხის შეფასება

ქვემოთ მოცემულია ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ სააღრიცხვო პოლიტიკაში გამოყენებული ძირითადი შეფასებები, რომლებიც ყველაზე დიდ გავლენას ახდენს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების (ზარალის) რეზერვების შეფასებაზე:

- დეფოლტის ალბათობა: დეფოლტის ალბათობა (PD) წარმოადგენს მთავარ მონაცემს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაზომვისას. დეფოლტის ალბათობა არის მაჩვენებელი, რომელიც გვიჩვენებს დეფოლტის მოხდენის ალბათობას კონკრეტულ პერიოდში, რომლის გაანგარიშებისას გამოიყენება ისტორიული მონაცემები და სამომავლო პირობებთან დაკავშირებული დაშვებები და მოლოდინი.
- ზარალი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში: ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD) არის შესაძლო ზარალის შეფასება, რომელიც წარმოიშობება დეფოლტის შემთხვევაში. იგი ეფუძნება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფულად ნაკადებსა და იმ ნაკადებს შორის სხვაობას, რომლის მიღებასაც ელის კრედიტორი, სესხის უზრუნველყოფებიდან და კრედიტის ერთიანი გაზრდით მიღებული ნაღდი ფულის ნაკადების გათვალისწინებით
- საპროგნოზო სცენარების დადგენა: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) გაზომვისას ჯგუფი იყენებს გონივრულ და ფაქტებით გამყარებულ საპროგნოზო ინფორმაციას, რომელიც ეფუძნება დაშვებებს სხვადასხვა ეკონომიკური ფაქტორის სამომავლო მოქმედებისა და ამ ფაქტორების ურთიერთქმედების შესახებ.

იჯარის ვადების განსაზღვრა იმ ხელშეკრულებებისთვის, სადაც ჯგუფი წარმოადგენს მოიჯარეს

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ჯგუფი აფასებს, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ იგი გამოიყენებს იჯარის გაგრძელების, ან საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლებას. საწარმო ითვალისწინებს ყველა სათანადო ფაქტსა და გარემოებას, რომელიც ეკონომიკურ სტიმულს უქმნის მოიჯარეს იმისთვის, რომ გამოიყენოს ან არ გამოიყენოს ეს უფლება, მათ შორის იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან ამ არჩევანის უფლების გამოყენების თარიღამდე პერიოდში ფაქტებისა და გარემოებების მოსალოდნელ ცვლილებებს. ამასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელ ფაქტორებს, სხვასთან ერთად, განეკუთვნება:

ა) არჩევით პერიოდებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო პირობები, საბაზრო განაკვეთებთან შედარებით, როგორცაა:

- საიჯარო გადახდების ოდენობა ნებისმიერ არჩევით პერიოდში;
- ცვლადი საიჯარო გადახდების ან სხვა პირობითი გადახდების სიდიდე;
- ნებისმიერი არჩევანის უფლებების პირობები, რომლებიც გამოყენებას ექვემდებარება თავდაპირველი არჩევითი პერიოდების შემდეგ.

ბ) საიჯარო ქონების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, რომელიც განხორციელდა (ან მოსალოდნელია, რომ განხორციელდება) ხელშეკრულების ვადის განმავლობაში და მოსალოდნელია, რომ მნიშვნელოვან ეკონომიკურ სარგებელს მოუტანს მოიჯარეს, როდესაც შესაძლებელი იქნება იჯარის გაგრძელების ან ვადამდე შეწყვეტის, ან საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების რეალიზება;

კაპიტალ ექსპრეს ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ქართულ ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები (გაგრძელება)

გ) იჯარის ვადამდე შეწყვეტასთან დაკავშირებული დანახარჯები, როგორცაა მოლაპარაკებების წარმოების დანახარჯები, აქტივის გადაადგილების დანახარჯები, სხვა საიჯარო აქტივის იდენტიფიკაციასთან დაკავშირებული დანახარჯები, რომელიც მოიჯარის საჭიროებების შესაფერისია, მოიჯარის ოპერაციებში ახალი აქტივის ინტეგრირების დანახარჯები, ან იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის განკუთვნილი ჯარიმები და სხვა ანალოგიური დანახარჯები, მათ შორის, რომლებიც დაკავშირებულია საიჯარო აქტივისთვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მდგომარეობის, ან საიჯარო აქტივის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ადგილზე დაბრუნებასთან;

დ) საიჯარო აქტივის მნიშვნელობა მოიჯარის საქმიანობისთვის, მათ შორის, შემდეგი ასპექტების გათვალისწინება: საიჯარო აქტივი სპეციალიზებული აქტივია თუ არა, საიჯარო აქტივის ადგილმდებარეობა და შესაფერისი ალტერნატიული ვარიანტების არსებობა; და

ე) არჩევანის უფლების გამოყენებასთან დაკავშირებული პირობითობა (ე.ი. როდესაც არჩევანის უფლების გამოყენება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ერთი ან რამდენიმე პირობა დაკმაყოფილებულია) და ამ პირობების მატერიალიზების ალბათობა.

დეტალები იჯარის ვადების შესახებ, იმ ხელშეკრულებებისთვის, სადაც ჯგუფი წარმოადგენს მოიჯარეს, იხილეთ მე-12 შენიშვნაში.

ზღვრული საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრა იმ ხელშეკრულებებისთვის, სადაც ჯგუფი წარმოადგენს მოიჯარეს

ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას ზღვრული სასესხო განაკვეთის დადგენისთვის. დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით განისაზღვრება ძირითადი განაკვეთი, რომელიც კორექტირდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორებით და უზრუნველყოფის (იჯარის ობიექტის) მახასიათებლებით. ჯგუფმა გამოიყენა ერთი და იგივე დისკონტირების განაკვეთი მეტ-ნაკლებად ანალოგიური მახასიათებლების მქონე საიჯარო ხელშეკრულებების პორტფელთან მიმართებაში;

დეტალები ზღვრული სასესხო განაკვეთის შესახებ, იმ ხელშეკრულებებისთვის, სადაც ჯგუფი წარმოადგენს მოიჯარეს, იხილეთ მე-12 შენიშვნაში.

უზრუნველყოფის საგნის ღირებულების შეფასება

ხელმძღვანელობა რეგულარულად განიხილავს უზრუნველყოფის საგნის საბაზრო ღირებულებას. ხელმძღვანელობა იყენებს საკუთარ გამოცდილებას რეალური ღირებულების დასაკორექტირებლად. უზრუნველყოფის მოცულობა დამოკიდებულია მსესხებლის საკრედიტო რისკზე.

გადასახადები

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ჯგუფი ახორციელებს ბევრ ოპერაციას და გაანგარიშებას, რომელთათვისაც საბოლოო დაბეგვრის საკითხები განსაზღვრული არაა. შედეგად ჯგუფი საგადასახადო ვალდებულებებს აღიარებს სავარაუდო შეფასებების საფუძველზე, იმის შესახებ, ექნება თუ არა ადგილი დამატებით გადასახადების და პროცენტის დარიცხვას. ჯგუფი დარწმუნებულია, რომ მას შეუძლია თავისი საგადასახადო დეკლარაციების დასაბუთება, თუმცა მაინც თვლის, რომ არსებობს გარკვეული არეები დეკლარაციებში, რომელთა ამომწურავად დასაბუთება შესაძლოა ვერ მოხერხდეს საგადასახადო შემოწმებისას. შედეგად ჯგუფი ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს ამასთან დაკავშირებული რისკები.

სხვადასხვა ფაქტორების, მათ შორის წარსული გამოცდილების ანალიზის და საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების მიხედვით, ჯგუფი თვლის, რომ მის მიერ გაკეთებული საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვები ადეკვატურია ყველა წლისთვის. ეს მოსაზრება ეყრდნობა დაშვებებს და შეფასებებს და შეიძლება შეიცავდეს კომპლექსურ მსჯელობებს მომავალ მოვლენებზე. იმდენად, რამდენადაც ამ საკითხების საბოლოო საგადასახადო შედეგები განსხვავდება არსებული საბუღალტრო ჩანაწერების თანხებისაგან, ასეთი სხვაობები გავლენას იქონიებს საგადასახადო ხარჯზე იმ პერიოდში, როცა ასეთი გადაწყვეტილება იქნა მიღებული.

კაპიტალ ექსპრეს ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ქართულ ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

სხვა ფინანსური ინსტიტუტების მსგავსად, ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად ჯგუფი დგება სხვადასხვა რისკის წინაშე. ეს შენიშვნა აღწერს ჯგუფის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რომ მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად. დამატებითი ციფრობრივი მონაცემები აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა ნაწილში.

ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებებისთვის, რომლებიც ლიკვიდური ან მოკლევადიანია (სამ თვემდე ვადით), ითვლება, რომ მათი საბალანსო ღირებულება მიახლოებულია მათ რეალურ ღირებულებასთან.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა ჯგუფის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ჯგუფის ფინანსური მხარისთვის.

ხელმძღვანელობის საერთო მიზანია, რომ შექმნას ისეთი პოლიტიკა, რომელიც მიზანმიმართული იქნება რისკების მინიმუმამდე შემცირებისკენ ჯგუფის კონკურენტუნარიანობისა და მოქნილობის გაუარესების გარეშე. აღნიშნულ პოლიტიკებთან დაკავშირებული დამატებითი დეტალები წარმოდგენილია ქვემოთ.

საქმიანობის პროცესში ჯგუფი დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი:
 - სავალუტო რისკი
 - საპროცენტო განაკვეთის რისკი

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ დანაკარგს მეორე მხარისთვის ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. საკრედიტო რისკის წინაშე ჯგუფი დგება სესხების გაცემით და სხვა სახის ოპერაციებით, როდესაც ურთიერთობისას წარმოიშობა ფინანსური აქტივი.

ჯგუფის ძირითადი საქმიანობა მიკრო სესხების გაცემაა და შესაბამისად, საკრედიტო რისკი უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს მიკრო საფინანსო ჯგუფის რისკების მართვაში. იმისათვის, რომ მსგავსმა შემთხვევებმა ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვნად არ დააზარალოს, გამოიყენება სხვადასხვა სამუშაო მეთოდი, რაც უზრუნველყოფს საკრედიტო რისკების დროულად იდენტიფიცირებასა და მათ ეფექტურად მართვას.

ჯგუფს საკრედიტო რისკის (იგულისხმება როგორც საბალანსო, ისე არასაბალანსო რისკები) მართვის მიზნით შემუშავებული აქვს ისეთი პოლიტიკები და პროცედურები, რომელიც მოიცავს პორტფელის კონცენტრაციის შეზღუდვის სახელმძღვანელო პრინციპებს და აყალიბებს საკრედიტო კომიტეტს, რომელიც აქტიურ მონიტორინგს უწევს საკრედიტო რისკს. საკრედიტო პოლიტიკა განიხილება და მტკიცდება ხელმძღვანელობის მიერ.

ჯგუფი რეგულარულად აკვირდება ინდივიდუალური სესხების საკრედიტო რისკებს და მუდმივად აფასებს კლიენტების კრედიტუნარიანობას. მიმოხილვა დაფუძნებულია განახლებულ ფინანსურ ინფორმაციაზე, რომელსაც იღებს საკრედიტო პერსონალი მონიტორინგის შედეგად. შემდეგ ინფორმაცია გადის რისკზე დაფუძნებულ შეფასებას საკრედიტო დეპარტამენტის მიერ. ჯგუფი სესხებს საკრედიტო რეიტინგებს არ ანიჭებს.

კაპიტალ ექსპრეს ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ქართულ ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს საკრედიტო რისკის მაქსიმუმს. საანგარიშგებო პერიოდისათვის საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა იყო:

ფინანსური აქტივები	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
ფული და ფულის ეკვივალენტები (სალაროს გარდა)	322,257	935,335	644,855
კლიენტებზე გაცემული სესხები	3,204,575	4,401,632	4,274,795
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	73,326	98,654	137,054
სხვა აქტივები	40,947	31,049	-
	3,641,105	5,466,670	5,056,704

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რომ მოხდეს სესხების გასტუმრება და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში.

ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით ჯგუფი ახორციელებს ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რაც ასევე აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილია. ლიკვიდურობის ანალიზი და საპროცენტო განაკვეთის რისკები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილებში. ქვემოთ მოყვანილი პრეზენტაცია ეფუძნება ჯგუფის ძირითადი ხელმძღვანელობის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას.

ფინანსური ვალდებულებების ვადიანობა 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	სულ
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	377,672	387,374	774,748	1,539,794
საიჯარო ვალდებულება	35,703	42,585	-	78,288
	413,375	429,959	774,748	1,618,082

ფინანსური ვალდებულებების ვადიანობა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	სულ
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	651,960	1,128,816	1,003,680	2,784,456
	651,960	1,128,816	1,003,680	2,784,456

ფინანსური ვალდებულებების ვადიანობა 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	სულ
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	844,860	1,250,162	333,633	2,428,655
	844,860	1,250,162	333,633	2,428,655

კაპიტალ ექსპრეს ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ქართულ ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას ჯგუფის მიერ პროცენტური, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები შეიცვლება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი) და საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი).

- სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს ჯგუფის ფინანსური რისკების განსაზღვრაში. ჯგუფი ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

სავალუტო რისკის ზეგავლენა ჯგუფზე 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

	<u>ლარი</u>	<u>აშშ დოლარი</u>	<u>სულ</u>
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	164,737	157,520	322,257
კლიენტებზე გაცემული სესხები	2,709,053	495,522	3,204,575
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	73,326	-	73,326
სხვა აქტივები	40,947	-	40,947
მთლიანი ფინანსური აქტივები	2,988,063	653,042	3,641,105
ფინანსური ვალდებულებები			
მიღებული სესხები	1,114,657	248,548	1,363,205
საიჯარო ვალდებულებები	-	75,505	75,505
მთლიანი ფინანსური ვალდებულებები	1,114,657	324,053	1,438,710
ღია საბალანსო პოზიცია	1,873,406	328,989	2,202,395

სავალუტო რისკის ზეგავლენა ჯგუფზე 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

	<u>ლარი</u>	<u>აშშ დოლარი</u>	<u>სულ</u>
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	776,741	158,594	935,335
კლიენტებზე გაცემული სესხები	3,679,201	722,431	4,401,632
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	98,654	-	98,654
სხვა აქტივები	31,049	-	31,049
მთლიანი ფინანსური აქტივები	4,585,645	881,025	5,466,670
ფინანსური ვალდებულებები			
მიღებული სესხები	687,417	1,855,746	2,543,163
მთლიანი ფინანსური ვალდებულებები	687,417	1,855,746	2,543,163
ღია საბალანსო პოზიცია	3,898,228	(974,721)	2,923,507

კაპიტალ ექსპრეს ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ქართულ ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

სავალუტო რისკის ზეგავლენა ჯგუფზე 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

	<u>ლარი</u>	<u>აშშ დოლარი</u>	<u>სულ</u>
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	225,035	579,027	804,062
კლიენტებზე გაცემული სესხები	2,788,515	1,486,280	4,274,795
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	137,054	-	137,054
მთლიანი ფინანსური აქტივები	3,150,604	2,065,307	5,215,911
ფინანსური ვალდებულებები			
